ხელშეკრულება №23-315
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

შპს "ენგურჰესი", (ს/კ 251716371) იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი. ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №8 (ფაქტიური მდებარეობა: გალის რ-ნი, დას.საბერიო), შემდგომში "შემსყიდველად" წოდებული, მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე - ლევან მებონიას სახით, რომელიც მოქმედებს კომპანიის წესდების შესაბამისად ერთის მხრივ და

შპს ,,კერხერი" (ს/კ 40448826) იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ბელიაშვილის N167 წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის - ნიკოლოზ ბათირაშვილის სახით, რომელიც მოქმედებს კომპანიის წესდების შესაბამისად მეორეს მხრივ

გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვების ჩატარების წესის მე-2 მუხლის „ა" პუნქტის თანახმად ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს – **ერთი ცალი მტვერსასრუტის** (T 10/1 *EU) **და ერთი ცალი მტვერსასრუტის ნაგვის პარკის (Filter bag fleece) შესყიდვა.**

2.2. კლასიფიკატორის კოდი: **CPV – 39713430**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. სახელშეკრულებო თანხა შეადგენს : 988 ცხრაას ოთმოცდარვა ლარს) ლარს დღგ-ს გათვალისწინებით, საიდანაც მტვერსასრუტის ღირებულებაა 897.75 (რვაას ოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და ცამოცდათხუთმეტი თეთრი) ლარი, ხოლო ნაგვის პარკის ღირებულებაა 90.25 (ოთხმოცდაათი ლარი და ოცდახუთი თეთრი).

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) საქონლის მოწოდება განახორციელოს საკუთარი სატროსპორტო საშუალებით შემდეგი მისამართიდან: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქუჩა №167

ბ)უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

გ) გადასცეს „შემსყიდველს" ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

დ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყონებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება ან შეცვალოს ახლით, დამატებითი ანაზღაურების გარეშე;

ე) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა)უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.
ბ) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება.

5. ხარისხი და გარანტია

5.1. თუ შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში აღმოჩნდება ქარხნული წუნი, მიმწოდებელი ვალდებულია შეცვალოს შესყიდვის ობიექტი ახლით. 5 კალენდარული დღის გასვლის შემდეგ ვრცელდება არანაკლებ 12 თვიანი შეკეთებითი გარანტია. (აღნიშნული 12 თვიანი გარანტია არ ვრცელდება აქსესუარებზე) საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 30 სამუშაო დღეში განახორციელოს წუნდებული საქონლის შეკეთება, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გარეშე.

6. ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების განხორციელების დროს.
6.2. ინსპექტირებას განახორციელებს: შპს ,,ენგურჰესი"-ს შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის უფროსი სპეციალისტი - გ. ქემოკლიძე
6.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. საქონლის მოწოდებისას „შემსყიდველის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი ამოწმებს მოწოდებული საქონლის შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან, ფაქტიურად მიღებული საქონლის მიხედვით „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის ხარვეზების (წუნდების) არ არსებობის შემთხვევაში ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.
7.2. საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელიც ფორმდება წერილობითი ფორმით, საქონლის საბოლოო მიღების ადგილზე.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა -უნაღდო.
8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1.მხარეები უნაზღაურებენ ერთმანეთს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებულ ზიანს კანონით გათვალისწინებული წესით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათ) პროცენტს. შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2. თუ რამე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

13.2. ხელშეკრულებების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დარჩენილი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე ბოლო კვალიფიციური ელექტრონული ხელისმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის განთავსების დღიდანდა მოქმედებს 2023 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება, მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, პანდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოებების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივ შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

16. სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე და აქვს იურიდიული ძალა.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
შპს "ენგურჰესი"	**შპს ,,კერხერი”**
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი.	იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი,
ა. პოლიტკოვსკაიას №8	ბელიაშვილის №167
სს ,,საქართველოს ბანკი”	სს ,,თიბისი“ ბანკი
ბ/კ BAGAGE22 ს/კ 251716371	ს/კ 404488826
	ბ/კ TBCBGE22
ა/ა GE05BG0000000126298600	ა/ა GE91TB7533036020100004
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე	გენერალური დირექტორი
Levan Mebonia Digitally signed by Levan Mebonia Date: 2023.05.16 16:00:03 +04'00'	
ლ. მებონია	**ნ. ბათირაშვილი**

ვიზა:

ფინანსური დირექტორი Zviad Kilasonia Digitally signed by Zviad Kilasonia Date: 2023.05.16 15:25:16 +04'00'

შესყიდვებისა და მომარაგების სამსახური

იურიდიული სამსახური Vakhtang Molashkhia Digitally signed by Vakhtang Molashkhia Date: 2023.05.16 13:50:26 +04'00'

Mariam Labartkava 01011087968 Digitally signed by Mariam Labartkava Date: 2023.05.16 13:58:33

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებთ, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, №23-315 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებით, შპს ,,კერხერთან'' -თან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

შპს "ენგურჰესი"-ს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე	Levan Mebonia Digitally signed by Levan Mebonia Date: 2023.05.16 16:01:01 +04'00'	ლ. მებონია
შპს „ენგურჰესი“-ს შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის უფროსი	Vakhtang Molashkhia Digitally signed by Vakhtang Molashkhia Date: 2023.05.16 13:45:53 +04'00'	ვ. მოლაშხია
შპს "ენგურჰესი"-ს შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის უფროსი სპეციალისტი		გ. ქემოკლიძე

Nickoloz Batirashvili 23001002754 Digitally signed by Nickoloz Batirashvili Date: 2023.05.16 14:46:57